ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 37 (1438)

27 დეკემბერი, 1995 წ.

## ოთხი წლის წინ, დეკემბერ-იანვარში...

რა ბედი ეწიათ

სამოქალაქო ომის გმირებს?

მე-2 გვ.

ვალერი კვარაცხელია:

## თავს მოვალედ ვთვლი საჯაროდ ვიყვირო: ნუ გააკეთებთ ამას! ნუ გააკეთებთ ამას!

მე-5 გვ.

## პროვინციალური მოტივები, ანუ რა ვართ ჩვენ ქართველები?!

მე-6 გვ.

ისტორიისთვის დასაფიქსირებლად

ივანე კილურაძე:

## მომავალი არჩევნებისათვის ამის დაშვება შეუძლებელია

მე-8 გვ.



## ინტერვიუ ორი სათაურით

თენგიზ სიგუა:

## მარტში ან აპრილში მთავრობა შეასრულებდა ოპოზიციის მოთხოვნებს, არავითარი ძალისმიერი მეთოდები საჭირო არ იყო?!

/აღშფოთება-გაკვირვების გამომხატველი კითხვა-ძახილის ნიშანი ეკუთვნის რედაქციას/.

* * *

ჩემი სხვა მხრივ ეშინიათ, მე ბევრი რამე ვიცი...

* * *

**ნოდარ ნათაძე: რეალური მორიგება არც ერთს არ უნდოდა**

**თენგიზ კიტაჩეიშვილი: და «მრგვალი მაგიდა» კი აცხადებს...**

იხ. მე-2, 3,4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოთხი წლის წინ, დეკემბერ-იანვარში...



**მოამზადა ლელა ჯაფარიძემ**

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის ქუჩებში სამოქალაქო ომი დაიწყო. ომი თექვსმეტი დღე გაგრძელდა. მსხვერპლისა და ნგრევის მეტი არაფერი მოუტანია არც საქართველოსთვის და არც დაპირისპირებული მხარეებისთვის. რუსთაველის პროსპექტი აბსურდის თეატრს გავდა. რატომ და რისთვის იღვრებოდა სისხლი? „არავითარი ძალისმიერი მეთოდები საჭირო არ იყო. მარტში ან აპრილში მთავრობა შეასრულებდა ოპოზიციის მოთხოვნებს", — ამბობს ბატონი თენგიზ სიგუა. „რეალური მორიგება არც ერთს არ უნდოდა", — თვლის ბატონი ნოდარ ნათაძე.

ფაქტია, რომ თბილისის ქუჩებში გამართულმა სამოქალაქო ომმა გააკოტრა ეროვნული ძალები და საქართველოს მოსახლეობამ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კაპიტალს მიაპყრო მზერა.

გავიხსენოთ ისტორიის ის სისხლიანი დღეები, როდესაც ბარიკადების ერთ მხარეს საქართველოს პრეზიდენტი და მისი ერთგული მომხრენი, ხოლო მეორე მხარეს ყოფილი გვარდია და პრეზიდენტისგან



„წითელ ინტელიგენციად" წოდებული პირნი იდგნენ.

**დღეს ბარიკადების იქითა მხარეზე მდგომთაგან:**

**პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქალაქ გროზნოში. მისი ოჯახი ემიგრაციაშია -მოსკოვში, უფროსი ვაჟი კონსტანტინე ბოლო მონაცემებით შვეიცარიაშია.**

**ნემო ბურჭულაძე სვანეთშია, გლეხურ მეურნეობას მიჰყო ხელი.**

**გურამ პეტრიაშვილი უკრაინაშია ოჯახთან ერთად.**

**ლალი ნიკოლაძე თურქეთშია — თურქეთის მოქალაქე გახდა.**

**გიორგი მარჯანიშვილი ჰოლანდიაშია მეუღლესთან ერთად.**

**სხვა „ბუნკერელები" მიმოფანტულნი არიან.**

**ბარიკადის მეორე მხარეს მყოფთაგან:**

**ჯაბა იოსელიანი ციხეშია.**

**თენგიზ კიტოვანი ციხეშია.**

**გია ყარყარაშვილი, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი, ამჟამად სახლშია, მკურნალობის პროცესში.**

**გია გულუა მოკლულია.**

**რიგითი მეომრების დიდი ნაწილი გარდაცვლილია.**

ალბათ, საინტერესო იქნება ოთხი წლის შემდეგ ამ მოვლენებისადმი განსხვავებული პოზიციების მქონე ადამიანების საუბრის კიდევ ერთხელ დაფიქსირება. მაშ ასე: ოთხი წლის წინ, 22 დეკემბერს...

## თენგიზ სიგუა:

### ჩემი სხვა მხრივ ეშინიათ, მე ბევრი რამე ვიცი...



— ბატონო თენგიზ, 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში 16 დღიანი სამოქალაქო ომი დაიწყო. როგორ შეაფასებთ ოთხი წლის წინ დატრიალებულ მოვლენებს?

— შეფასება ერთი უნდა იყოს, ეს იყო ნამდვილი ეროვნული ტრაგედია. მე ვთვლი, რომ ამ პროცესებს ძალიან სერიოზული შესწავლა სჭირდება. ყველა ანალიზი — პოლიტიკურიც ეკონომიკურიც უჩვენებს, რომ არავითარი ძალისმიერი მეთოდები საჭირო არ იყო. მარტში, აპრილში მთავრობა შეასრულებდა ოპოზიციის მოთხოვნებს. რა იყო ეს მოთხოვნები, ალბათ, გახსოვთ — ახალი საპარლამენტო არჩევნები და ადამიანთა უფლებების დაცვა. სამწუხაროდ, 22 დეკემბერს დაიწყო ტრაგედია. ჩემი ანალიზი ასეთი გახლავთ: მაშინ მოედანი ჩახერგილი იყო ბარიერებით და ორივე მხარეს ტარდებოდა მიტინგები. 21 დეკემბერს მოხერხდა ამ ორი მიტინგის გაერთიანება. გამსახურდიამ ეტყობა ჩათვალა, რომ ეს იყო მისი საბოლოო მარცხი და 22 დეკემბერს დილის 8 საათზე მოულოდნელად მთავრობის სასახლიდან გამოვარდა დაახლოებით ოთხმოცი შეიარაღებული კაცი და ყოველგვარი გაფრთხილებების გარეშე დაიწყეს სროლა. დაიჭრა უდანაშაულო ორი ქალი და დაიჭრა ორი მილიციელი. მათ შორის, დაიჭრა გვენცაძეც. როგორც შენობაში მყოფები ადასტურებენ, დილის 8 საათზე მათ ჰქონდათ საგანგებო სხდომა. სხდომას გამსახურდია არ ესწრებოდა. დარბაზში ყვირილით შევარდა პრეზიდენტის ცოლი და აჩქარებული: „თქვენ გამყიდველები ხართ, თქვენ არაფერს არ აკეთებთ" — გვენცაძე შემდეგ ყვებოდა: „გამოვედი გარეთ, რომ მენახა, რა ხდებოდა რუსთაველზე. ჩამოვედი კიბეებზე, გამოვედი ქუჩაში, ირგვლივ აბსოლუტური სიწყნარე იყო. ამ დროს, ჩემთვისაც მოულოდნელად დაიწყო სროლა". ამ სროლის დროს ორივე ფეხში ავტომატის ჯერით გვენცაძეც დაიჭრა...

**— ბატონო თენგიზ, ომის დაწყებას ლელი არჩვაძეს უნდა „ვუმადლოდეთ?" ნუთუ სხვა არავინ გამოჩნდა, რომ ეს სისხლისღვრა მაშინვე აგვეცილებინა თავიდან?**

— ფაქტიურად, ამ ქალის წყალობით გაიცა ბრძანება. გამსახურდია იქ არ იყო, როცა ქალმა პანიკა ატეხა. თენგიზ კიტოვანი 11 საათზე გამოჩნდა რუსთაველზე, მანამდე იქ კაციშვილი არ იყო ოპოზიციის მხრიდან.

რაც შეეხება სისხლისღვრის თავიდან აცილებას, მე პირადად სამჯერ ველაპარაკე გამსახურდიას ტელეფონით. პირველი საუბარი პრეზიდენტის ინიციატივით შედგა. მან გამომიგზავნა მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილე, აწ გარდაცვლილი ბესიკ ქუთათელაძე და 15 წუთის შემდეგ შედგა ჩვენი სატელეფონო საუბარი. შევთანხმდით, რომ სროლა შეწყდებოდა. გამსახურდია დატოვებდა თბილისს, ოღონდ ითხოვდა გარკვეულ გარანტიებს. მე შევთავაზე ჩემი სამსახური: შევპირდი, რომ დავუცდიდი სამხატვრო გალერეასთან. თვითონ მოვიდოდა საკუთარი მანქანით. მანქანაში ჩავუჯდებოდით მე და ბესიკ ქუთათელაძე და პრეზიდენტს მივაცილებდით აეროპორტამდე. იქიდან სადაც უნდოდა იქ წავიდოდა. უნდოდა დასავლეთ საქართველოში, უნდოდა რესპუბლიკის ფარგლებს დატოვებდა.

„მეუღლე?" — იკითხა გამსახურდიამ.

„მეუღლე ალბათ თან უნდა წაიყვანოთ", — ვუთხარი მე.

„ბიჭები?"

„ბიჭებს თუ მენდობით, მე დავიტოვებ და ერთი ღერი თმაც არ ჩამოუვარდებათ".

გამსახურდია ამაზეც დამთანხმდა. შევთანხმდით, რომ ოთხი საათის შემდეგ მოხდებოდა ამ მოლაპარაკების აღსრულება. გზა მთავრობის სასახლიდან პრეზიდენტის სახლამდე თავისუფალი იქო, რათა ჰქონოდათ მომზადების საშუალება.

სამწუხაროდ, პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ პრეზიდენტის მეუღლე, მეუღლის და და მასთან დაახლოებული პირნი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოლოდინაშვილი და კოპალიანი. როდესაც მეორედ შედგა სატელეფონო საუბარი ჩემსა და გამსახურდიას შორის, მან მეუღლის ავადმყოფობა მოიმიზეზა და მთხოვა გამგზავრება 3 საათით გადაგვედო. ეს იყო სადღაც დღის ხუთი საათი. საღამოს 9 საათის შემდეგ, როდესაც მესამედ ვისაუბრეთ, გამსახურდიამ თქვა — აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არ არისო... და ტრაგედია გაგრძელდა.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ იყო შანსი სისხლისღვრის შეწყვეტისა. როდესაც საქართველოში ჯერ სომხეთის, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთის დელეგაციები ჩამოვიდნენ, ჩვენ თანახმა ვიყავით მათ შუამავლობაზე. მაგრამ პრეზიდენტმა და მისმა ბანაკმა სასტიკი უარი განაცხადა რაიმე მოლაპარაკებაზე. 29 დეკემბერს ჩვენ შევთავაზეთ გამსახურდიას შერეული კომისიის შექმნა, მათი მხრიდან იქნებოდნენ ჯონი ხეცურიანი და ბესიკ ქუთათელაძე და სხვა წარმომადგენლები, მაგრამ ამაოდ, არც ამაზე დაგვთანხმდა და მძვინვარე ომი 6 იანვრამდე გაგრძელდა.

გაგრძელება მე-3 გვ.

## ნოდარ ნათაძე:

### რეალური მორიგება არც ერთ მხარეს არ უნდოდა



— ბატონო ნოდარ, რით დაიწყო 22 დეკემბრის მოვლენები?

ეს სამარცხვინო ტრაგედია ჩვენთვის აგვისტოს იმ დილით დაიწყო, როდესაც გამოცხადდა ГКЧП-ს ამბავი. მაშინვე გავიქეცი უზენაეს საბჭოში, დავჯექი პრესის ოთახში, სადაც ტელევიზორი იყო ჩართული. განუწყვეტლივ რეკავდნენ უცხოეთიდან. იგებდნენ ჩვენს ამბავს და ჩვენს რეაქციას. პრეზიდენტი გამსახურდია თავის კაბინეტში იჯდა. შედიოდა, გამოდიოდა, მაგრამ მომხდარ ამბავზე ხმას არ იღებდა. შუალედში მოვასწარი გავსულიყავი და თავი მომება „სახალხო ფრონტის" განცხადებისათვის, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში". განცხადება მიმართული იყო ГКЧП-ეს წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ ГКЧП ჩვენც გვათვლიდა თავის სამეურვეო ობიექტთა რიცხვს, მაშინ როცა გორბაჩოვის ხელისუფლებაც კი არ აძლევდა თავს ამის უფლებას.

უზენაეს საბჭოში ბევრი დეპუტატი ტრიალებდა. ჩემი პოზიცია ასეთი იყო: თუ თავს დაგვესხმიან რუსები, არავითარ შემთხვევაში საშველად არ მოვუწოდოთ ხალხს. ეს შენობა ჩვენ, დეპუტატებმა უნდა დავიცვათ ბოლომდე. დახვრეტილი პარლამენტი ჯობია გარეკილ პარლამენტს.

ზვიად გამსახურდიას ჰქონდა შესაძლებლობა მკვეთრად დაეჭირა ГКЧП-ს საწინააღმდეგო პოზიცია და ამით ჩვენი საერთაშორისო აღიარების საქმე წინ წაეწია. სამწუხაროდ, მან ეს არ გააკეთა. ეს იყო შეცდომა, გასაგები შეცდომა, მაგრამ მაინც შეცდომა. მოტივი ალბათ შემდეგი იყო — ყოფილ კოლონიებთან მიმართებებში რეაქციულ ГКЧП-ს და „პროგრესულ" გორბაჩოვს შორის დიდი განსხვავება არაა. ამგვარად, ამ შეცდომას მე წმინდა ტაქტიკურ შეცდომად ვთვლი. საათის პირველზე, თუ არ ვცდები, ეკრანზე ბუში გამოჩნდა და განაცხადა, რომ ГКЧП-ს არ ცნობს. ამით ყველა საქმეში ჩახედული კაცისათვის ცნობილი გახდა, რომ ГКЧП განწირულია. ამავე დღეს მოხდა ჩვენთვის უმძიმესი ამბავი, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება — თუ არ ვცდები ბრძანების ფორმით — რომელიც საქართველოს ერთადერთი სამხედრო ძალის — გვარდიის დაშლის საშიშროებას შეიცავდა. ამის შემდეგ მოხდა გვარდიის გასვლა რკონში თავის შენახვის მიზნით. ხალხის სიმპათიები ცალსახად გვარდიის მხარეზე იყო.

შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, იცით. იმ დროს ასპარეზზე მყოფ ქართველებში ზოგი დამნაშავე აღმოჩნდა, ზოგი პოლიტიკურად უმწიფარი, ზოგიც უბრალოდ უტვინო.

კონფლიქტის აგორება ხდებოდა ნელა, მაგრამ გათვლილად და ვერაგულად. მე პირადად, ის ორი თვე, რაც ტელევიზიის ამბებსა და დეკემბრის ამბებს შორის ძევს, პარლამენტისა და თბილისის ზღვას შორის სირბილში გავატარე. მინდოდა როგორმე გადამერჩინა ორივე მხარე კონფლიქტისაგან. თუმცა სიმართლე გითხრათ, სისხლისღვრას არ ველოდი. ამ სირბილში თანდათანობით შევატყვე, რომ რეალური მორიგება არც ერთ მხარეს არ უნდოდა. ჩემი ბოლო მიღწევა ის იყო, რომ გვარდიის ოფიცრობა და კიტოვანი, სიგუას თანდასწრებით დავითანხმე იმაზე, რომ გვარდია დაემორჩილებოდა პარლამენტს და დაუბრუნდებოდა დისლოკაციის ადგილს. ჩამოვიტანე პირობის ტექსტი პარლამენტში. გამსახურდია არ დაეთანხმა — ჯარი პრეზიდენტს დაემორჩილოსო.

ჩემი უკანასკნელი ვიზიტი თბილისის ზღვაზე 17 დეკემბერს იყო. იქიდან სასოწარკვეთილი წამოვედი.

— როგორ შეაფასებდით სამოქალაქო ომს, მის შედეგებს?

ის, რაც დაიწყო 22 დეკემბერს, მე დანაშაულად

გაგრძელება მე-3 გვ.

## საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება «მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს»

# განცხადება

## საქართველოში კანონიერი ეროვნული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის ოთხი წელი და მისი შედეგები

დაიშალა რა წინასწარგანზრახული გეგმით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში საფუძველი ჩაეყარა ახალ ხელოვნურ კავშირს — ეგრეთ წოდებულ სნგ-ს, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის თხუთმეტი რესპუბლიკიდან გაერთიანდა თერთმეტი. ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, რომელიც ევრო-ამერიკული გეგმის შესაბამისად იმავე წლის სექტემბერში გამოეყო სსრკ-ს, ცხადია, ვერ შევიდოდა სნგ-ს შემადგენლობაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის ზვიად გამსახურდიას მოქნილი და გაბედული პოლიტიკის წყალობით საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დარჩა ახალი საბჭოური მოდელის გაერთიანების გარეთ. ამ ვითარებას შესაფერისი ყურადღებით მოეკიდნენ მსოფლიოს სახელმწიფოები, რომლებმაც ცნეს რა სნგ-ში შემავალი ყველა თერთმეტი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, საქართველოს დამოუკიდებლობა ცალკე აღიარეს.

რა თქმა უნდა, მსოფლიო იმპერიული ძალები ვერ შეეგუებოდნენ საქართველოს თავისუფლებას. მათ უმალ დაიწყეს მოქმედება ჩვენი ქვეყნის სნგ-ში დასაბრუნებლად. ამ ამოცანის განსახორციელებლად ქართველი ხალხი უნდა ჩაებათ ომებში, უნდა შეექმნათ დაძაბული კრიმინოგენული მდგომარეობა. შევარდნაძის მეთაურობით გეგმა აღსრულდა: 1992 წლის გაზაფხულზე შევარდნაძის ხელისუფლებამ დათმო სამაჩაბლო, ხოლო 1992 წლის აგვისტოში გააჩაღა რა ომი აფხაზეთში, წინასწარგანზრახული დამარცხებით დაასრულა იგი 1993 წლის სექტემბერში. საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა შეიქნა, გაჩნდა ათიათასობით ლტოლვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველ ხალხს არ მოუთხოვია სნგ-ში შესვლა, რასაც რუსეთის იმპერია აგრერიგად მიელტვოდა. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას აქტიური პოლიტიკის გამო შევარდნაძე იძულებული შეიქნა გამოემჟღავნებინა რეალური ზრახვები სნგ-სთან მიმართებაში. მან ჩამოიხსნა ნიღაბი და სასწრაფოდ შევიდა კავშირში. ეს იყო იმპერიული პოლიტიკის ძალზე მნიშვნელოვანი მარცხი, რადგან ბოლოს და ბოლოს საყოველთაოდ გაცხადდა, თუ რა მიზნით განხორციელებულა სახელმწიფო გადატრიალება, რისთვის გაჩაღებულა ხელოვნური ომები, რატომ დაძაბულა უსაშველოდ კრიმინოგენული სიტუაცია. ნათლად დადასტურდა — სნგ-ში შესასვლელად!

1992 წლის 11 ოქტომბერს და 1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში ჩაატარეს ე.წ. არჩევნები, რომლებიც ვერ ეტევა კანონების ჩარჩოებში და ანსახიერებენ იმპერიული პოლიტიკის მეთოდს, რაც დასტურდება სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში გათამაშებული ანალოგიური მოვლენებითაც. გარდა იმისა, რომ მითითებულ რესპუბლიკებში არჩევნები ჩატარდა უკანონოდ, ისინი ამომრჩევლების დასწრების თვალსაზრისითაც იყო გაყალბებული.

არჩევნების ფალსიფიკაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩეჩნეთი, სადაც ამომრჩეველთა არყოლის გამო „რესპუბლიკის მეთაურს" ხმას აძლევენ ფედერალური ჯარის მოსამსახურეები და ჯარისკაცები.

შევარდნაძის ხელისუფლება ეფუძნება ძალისმიერ სტრუქტურებს, რომლებიც „სახელმწიფო მეთაურისა" და მისი აპარატის მოთხოვნათა საფუძველზე არ ასრულებენ და ვერც შეასრულებენ პროფესიულ მოვალეობას. ამიტომ, გავრცელებული ხმები, რომ საქართველოში თითქოს გაუმჯობესდა კრიმინოგენული მდგომარეობა — არასწორია და რაც ყველაზე სავალალოა — იგი მართულია ხელისუფლების სურვილისდა მიხედვით. მართალია, საგრძნობლად შემცირდა ცეცხლსასროლი იარაღით გამოწვეული აურზაური ქუჩებში, მაგრამ ყაჩაღობა, უბრალოდ, უფრო მეტად შენიღბული გახდა. ჩვეულებრივ, პოლიცია თავად ეწევა ყაჩაღობას — მიმართავს გამოძალვას ბაზრებიდან, მაღაზიებიდან, ჯიხურებიდან, ტაქსებიდან. რიგ შემთხვევაში გზაში აპატიმრებენ მოქალაქეებს და არ ანთავისუფლებენ მანამ, სანამდე არ გადაახდევინებენ გარკვეულ გამოსასყიდს. ყოველივე ამას უწოდებენ „გაუმჯობესებულ" კრიმინოგენურ მდგომარეობას!

ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ერში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთიანდერთია. იგი არ შეიძლება იყოს თუნდაც ორი, იმიტომ, რომ ერის ინტერესები და ხალხის ნება ერთადერთი ჭეშმარიტების სუფევისაკენ მიისწრაფვის!

იმპერიული ძალები ებრძვიან არა მარტო სახელმწიფოებრიობას, არამედ, პირველ რიგში, ეროვნულ მოძრაობას. ბრძოლის მეთოდები ღიაა. არის ფარულიც. იქმნება მრავალი პოლიტიკური ორგანიზაცია ეროვნული სახელდებითა და ლოზუნგებით, იქმნება ნამდვილი პატრიოტული ორგანიზაციების პარალელური სტრუქტურები, რათა ხალხმა ყალბ მედროშეებს მისდიოს, ცრუ ეროვნული ბრძოლის გზაზე გადაინაცვლოს და ადვილი სამართავი გახდეს.

ქართველმა ერმა კარგად იცის, რომ ეროვნული მოძრაობის მედროშე არის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო". მასთან დაპირისპირებული ძალა არ არის და ვერც იქნება ეროვნული. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" იბრძვის თავისუფლებისათვის იმ მეთოდებით, რომელიც თავის დროზე დაამუშავა მისმა სპიკერმა ზვიად გამსახურდიამ. ამ პოლიტიკის ძირითადი პრინციპია — ზნეობრივი დატვირთვა ბრძოლაში, რომელიც ხელს კი არ უშლის, პირიქით, სწორი გზით წარმართავს მას.

საბოლოოდ ცხადია, რომ:

1. სახელმწიფო გადატრიალება, აფხაზეთის ომი- გარიგება და გამძაფრებული კრიმინოგენური მდგომარეობა ხელოვნურად იყო გამოწვეული საქართველოს სნგ-ში მოსაქცევად.

ყველა ამ აქტის განმხორციელებელი, როგორც მოწმე — განწირულია.

2. კრიმინოგენური მდგომარეობა მართვადია. პოლიციისა და სხვა ძალისმიერი სტრუქტურების თვითნებობა — დაშვებული აქტია.

3. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები ხელოვნურადაა შექმნილი. ხელისუფლება ცდილობს „დაარეგულიროს" ეს პროცესი რომელიმე ცალკეული მხარის დროებითი გამოკვეთებით.

4. საქართველოში მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, ვიდრე არ აღდგება კანონიერი ხელისუფლება.

რეალური შედეგები კარიკატურისტის თვალით

მ.აბაშიძის ნახატები









ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვალერი კვარაცხელია:

# თავს მოვალედ ვთვლი საქვეყნოდ ვიყვირო: ნუ გააკეთებთ ამას! ნუ გააკეთებთ ამას!



**— ბატონო ვალერი, ამჟამინდელი საპარლამენტო არჩევნებში არ მიიღეთ მონაწილეობა. რამ განაპირობა თქვენი პასიური დამოკიდებულება არჩევნების მიმართ?**

— ეს ისეთი თემაა, რომ ვრცლადაც შემიძლია მოგახსენოთ და შემოკლებითაც. ჯერჯერობით ყველა მიზეზს არ ჩამოვთვლი; რამოდენიმეზე მიგითითებთ:

I. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდებოდა.

II. რომ ჩატარებულიყო ობიექტურად და არჩევნებში გამემარჯვა, არ მქონდა გარანტია, რომ რაიმე როლს ვითამაშებდი ამ პარლამენტში, ვინაიდან ვატყობდი მოდიოდა პარლამენტი, სადაც მაქსიმალურად იქნებოდა იგნორირებული პიროვნების როლი და ასევე მაქსიმალურად იქნებოდა წინ წამოწეული კოლექტიური, ჯგუფური ინტერესები. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ტრიბუნა მქონოდა ჩემი სათქმელის გამოსახატავად, მაინცდამაინც დიდი ცდუნება არ იყო იმიტომ, რომ ასეთი ტრიბუნა მე პარლამენტს გარეთაც მაქვს, ვინაიდან ჟურნალისტი ვარ და ვფიქრობ ამ ტრიბუნას ვერავინ წამართმევს.

III. ჩვენი საზოგადოება მეტისმეტად მკაცრი და ხშირად დაუნდობელიც არის პოპულარული პიროვნებების მიმართ და ეჭვის თვალით უყურებს ყველას, განსაკუთრებით დეპუტატს. პარლამენტის წევრობისაგან მე არანაირი გამორჩენა არ მქონია და ამ თვალსაზრისით, არც არაფერი მქონდა დასაკარგიც — მინდოდა, რომ მოსახლეობა ამაშიც დარწმუნებულიყო.

მე არ მჭირდებოდა სადეპუტატო იმუნიტეტი და თუ მართლმსაჯულებას (უფრო კონკრეტულად შ.ს.ს-ს) ჩემთან რაიმე სადავო და საკამათო ჰქონდა, ახლაც მათ ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ და ასეც მინდოდა ყოფილიყო.

**— გული ხომ არ გწყდებათ, რომ თქვენ დეპუტატი აღარ ხართ?**

— რა თქმა უნდა არა. გულდასაწყვეტი აქ ნამდვილად არაფერია, თუმცა მე ვთვლი, რომ ჩემნაირი ადამიანები პარლამენტს ნამდვილად სჭირდება.

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება ახლად არჩეული პარლამენტის მიმართ?**

— შეფასების თვალსაზრისით ჯერჯერობით ალბათ ნაადრევია ლაპარაკი, თუმცა ერთი რამ აშკარად არ მომწონს და ამის შესახებ უკვე შემიძლია გითხრათ. კონკრეტულად, პარლამენტში იკვეთება ტენდენცია პარტიული მიზნების საერთო-საქვეყნო ინტერესებზე მაღლა დაყენებისა, რაც გამოიხატა მოქალაქეთა კავშირის განცხადებით, რომ ყველა საკვანძო ადგილზე უნდა დაინიშნოს მათი კანდიდატურა, ვინაიდან მთელ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე ისინი საკუთარ თავზე იღებენ. ასეთი რამ ჩვენს მოსახლეობას კარგად ახსოვს ჩვენი ახლო წარსულიდან და ისიც კარგად გვახსოვს, რომ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის აღება მე ცოტა სხვაგვარად მესმის. საკვანძო პოსტებზე კადრები პარტიული ნიშნით კი არა, უწინარესად პროფესიული ნიშნით უნდა შეარჩიო. ეს რაც შეეხება პირველ შთაბეჭდილებებს პარლამენტის შესახებ.

ისე ჩემი გულწრფელი სურვილია ამ ხელისუფლებამ მართლა მოახერხოს ქვეყნის უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტა: დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული სისტემების ჩამოყალიბება.

**— როგორ კვალი დატოვა წინა პარლამენტმა თქვენს ცნობიერებაში?**

— გაორებული. ერთის მხრივ, პარლამენტი თითქოს ახერხებდა კრიტიკულ მომენტებში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას, რითაც ვფიქრობ ყოფილი პარლამენტი დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც პროგრესული მოვლენა. მეორე მხრივ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ევრეთწოდებული საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულვებელყოფის ფაქტები და გარკვეულ შემთხვევაში ზნეობასთან კომპრომისიც კი, რაც პირადად ჩემთვის კარგახანს დარჩება უსიამოვნო მოგონებად.

**— პოპულარული პროგრამა „პირისპირის“ ავტორი სამომავლოდ რაიმე სიახლეს ხომ არ შემოგვთავაზებთ?**

— მე მითქვამს კიდეც და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენს ტელეჟურნალისტიკას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი; უფრო სწორი კი ის იქნება ვთქვა, რომ ჯერ იმ მინიმუმსაც ვერ აკეთებს, რაც მას მოეთხოვება. ამას აქვს, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები, მაგრამ დღეს არ მინდა ამაზე ვილაპარაკო.

რაც შეეხება ჩემს პირად სამომავლო გეგმებს, ახლა დროც მეტი მაქვს და შევეცდები ამ ხარვეზის შევსებაში ჩემი წვლილი შევიტანო. გეგმები დიდი მაქვს, მაგრამ დღეს არც ამაზე ვისაუბრებ, — ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ უახლოეს მომავალში ქართველი ტელემაყურებლები იხილავენ ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის პროგრამას, თუ რა თქმა უნდა არ იქნება ხელოვნური ხელისშემშლელი პირობები.

**— საპარლამენტო და რესპუბლიკურ თათბირებზე თქვენი რამოდენიმე გამოსვლა გამოირჩეოდა ყოფილი შინაგან საქმეთა და ახლადდანიშნული უშიშროების მინისტრის კვირაიას მწვავე კრიტიკით. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

— მართალი გითხრათ დიდი სურვილი არა მაქვს ამ თემას ისევ მივუბრუნდე. ბატონ კვირაიასთან არანაირი პიროვნული ურთიერთობა არ მაკავშირებს. ჩემის მხრიდან კრიტიკა გამოწვეული იყო სამართალდამცავი ორგანოების მართლაც უნიათო მოღვაწეობით, რომლებსაც ისინი წლების განმავლობაში იჩენდნენ. ახლა ყველამ იცის, თუ რა სერიოზული პრობლემები ყოფილა დაგროვილი უშიშროების სამინისტროში, მაგრამ როცა ამ საკითხებზე ვსაუბრობდით მე და ჩემი კოლეგები, რეაქცია სახელმწიფო მეთაურის მხრიდან თითქმის ნულის ტოლი იყო. რაც შეეხება პოლიციას, ეს სტრუქტურა დღეს თითქოს ამუშავდა, მაგრამ თუ უახლოეს მომავალში პრეზიდენტი და პარლამენტი არ განახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს ამ სტრუქტურათა მოსაწესრიგებლად (მათ შორის საკადროსაც), მალე რიგი პრობლემები მთელი სიგრძე-სიგანით დადგება ჩვენი საზოგადოების წინაშე. ისე შევეცდები ამ საკითხებზე ნაკლებად ვისაუბრო. ქვეყანას ჰყავს, როგორც იურიდიული, ასევე რეალური ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელმაც ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს ამა თუ იმ სამთავრობო, მით უფრო ძალისმიერ სტრუქტურებში დაგროვილი პრობლემები და ვფიქრობ, რომ მას ხელს არაფერი უშლის, რათა ეს პრობლემები ახლა მაინც გადაიჭრას.

**— ამის გამო რაიმე ზეწოლას ხომ არ განიცდით?**

— იყო გარკვეული ცდა ჩემზე ზემოქმედებისა, მაგრამ ამას, ასე ვთქვათ, შევეჩვიე და გარკვეული იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებული. ჩემი ძლიერება ჩემს სიმართლესა და რწმენაშია. რაც შეეხება მინისტრებს, ისინი მოდიან და მიდიან, მათ შორის ზოგი კარგია, ზოგი საშუალო, ზოგი მთლად უვარგისი, მაგრამ დრო ყველაფერს ასწორებს. ერთი სიტყვით, ძველი ანეკდოტისა არ იყოს, ამაზე უარესიც გვინახავს.

**— ამჟამინდელი გადასახედიდან როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?**

— საერთოდ, სერიოზულმა კაცმა პროგნოზების გაკეთება არ უნდა იჩქაროს, მით უფრო, თუ საქმე ქვეყანას ეხება. პროგნოზის გაკეთება ჩვენს შემთხვევაში შეუძლებლად მიმაჩნია იმიტომ, რომ მართალია იურიდიულად დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, მაგრამ ფაქტიურად დიდად ვართ დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში და რუსეთში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა არ გააკეთოს თავის შესაძლებლობის მაქსიმუმი საიმისოდ, რათა ჩვენი ქვეყანა მართლა დაადგეს აღორძინების გზას.

**— თქვენ კატეგორიული წინააღმდეგი იყავით ქვეყნის სამხარეო მოწყობის იმ მოდელისა, რომელიც ამჟამად მოქმედებს. ახლა როგორ უყურებთ ამ საკითხს?**

— მე ამის წინააღმდეგი ვიყავი და წინააღმდეგი ვიქნები, ვინაიდან ვიცი, რომ ეს ჩემს ქვეყანას გამოუსწორებელი პრობლემების წინაშე დააყენებს. კონსტიტუციაში ეს საკითხი ასახული არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი მალე დამატებების სახით კონსტიტუციაში ამ მომენტს დააფიქსირებს. ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი საქვეყნოდ და ხმამაღლა ვიყვირო: ნუ გააკეთებთ ამას! ნუ გააკეთებთ ამას!

ესაუბრა
ია ბუკოვსკაია

**საინტერესო გადაცემებით არც თუ ისე განებივრებული ჩვენი ტელემაყურებლების დიდი ნაწილი სულმოუთქმელად ელოდება პარასკევს და თუ საქენერგო ხელს არ შეუშლის, მშვენივრად გაერთობა „პოლე ჩუდესის“ ყურებით. რატომაც არა — საზეიმო განწყობილება, მხიარული ატმოსფერო, საინტერესო თამაში და ლეონიდ იაკუბოვიჩის იუმორი მშვენიერი საყურებელია. ყოველ შემთხვევაში, ბევრად ჯობია საქართველოს ტელევიზიის მიერ შემოთავაზებულ ულიმღამო და ვითომ ინტელექტუალურ გასართობ პროგრამებს, „მთელი ღამე“ რომ შეგვიძლია უყურო და გაერთო. (თუ შეგიძლია, რა თქმა უნდა).**

**თუმცა რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის... დღეს გთავაზობთ „ვეჩერნაია მასკვა“-ს კორესპონდენტის მარინა კოჟინას ვიზიტის ჩანაწერებს „პოლე ჩუდესის“ გადაღებიდან.**

## კულისები

# ტაშისკვრა ბრძანებით

ისინი, ვინც თავის ტელევიზორს მაშინ რთავს, როცა ეთერშია გადაცემა „პოლე ჩუდეს“, ვერც წარმოიდგენენ, რომ გადაცემა მხოლოდ ტელემაყურებლისათვისაა გათვლილი. მონტაჟით და ტელემუშაკებისათვის ცნობილი სხვა მეთოდებით იქმნება რეალური სიტუაციისაგან მკვეთრად განსხვავებული შთაბეჭდილება. მაყურებელს ჰგონია გადაღება მიდის უზარმაზარ და ლამაზ დარბაზში, სადაც წამყვანის, „ბარაბანთან“ მდგომი მოთამაშის და დარბაზში მჯდომი მაყურებლის სრული ჰარმონია სუფევს. ტელემაყურებელს ეჩვენება სიმხიარულის, ზეიმის ილუზია. სინამდვილეში პავილიონი, სადაც გადაღებები ტარდება, პატარაა, უსახური, ალაგ-ალაგ ჩამონგრეული. ერთი სიტყვით, ძალიან ულაზათოა. წინა პლანზეა „სამეფო ტახტი“ ანუ ბარაბანი, რომელთანაც ერთმანეთს უნდა შეებან მოთამაშენი. მეორე პლანზეა მაყურებელთათვის განკუთვნილი საკმაოდ უხეში სკამები, ხოლო შუა ადგილი უკავია დაფას, რომელზედაც ამოსაცნობი სიტყვაა დაფარული. მოწვეული მაყურებლების დიდი ნაწილი იმ სპონსორი ორგანიზაციიდან არის, რომელიც პრიზებს უზრუნველყოფს.

„პოლე ჩუდესში“ მოხვედრით ბედნიერი მაყურებლები გაუბედავად შევედით სტუდიაში. დიდხანს ვსხდებოდით ადგილებზე და მერე დავუწყეთ თვალთვალი ოპერატორების მრავალრიცხოვან ტელეკამერებს. როდესაც სტუდიაში ლეონიდ იაკუბოვიჩი შემოვიდა, სახეზე სიამოვნება გამოგვეხატა და ვცადეთ ტაში დაგვეკრა, რაც უმალ იქნა აღკვეთილი წამყვანის მიერ. მან მისთვის დამახასიათებელი ირონიით, თითქოს ბავშვებს ელაპარაკებოდა, სთქვა: „სდექ; ტაშს შემოჰკრავთ, როცა მე გიბრძანებთ. ტაშისკვრა კი, მეგობრებო, ბევრი მოგიწევთ, რადგან იგი ცალკე გადაიღება“, და დაწვრილებით აგვიხსნა, რომ მისი ბრძანებით ყველა მაყურებელმა უნდა მიიღოს უსაზღვროდ ბედნიერი სახე და გაშმაგებით უკრას ტაში, სანამ არ იქნება ბრძანება „კმარა“.

ტაშისკვრის რეპეტიცია ხელისგულების ტკივილამდე გრძელდებოდა. იაკუბოვიჩი წარა-მარა აჩერებდა პუბლიკას: „სდექ, ეს სახე არ გადაიღოთ, რა უბედურებაა ეს სამგლოვიარო გამოხედვა. თქვენ კი გამთაფურთხეთ პირიდან, თუ შეიძლება, თქვენი ლიმონი! შემოჰკარით ხელი ძლიერად! არა, ეს ტაში არაა! სადაა თქვენი სახეები, რომლებზეც ბედნიერება გაწერიათ?“ ამ ფონზე „ბარაბანთან“ მყოფ მოთამაშეებს ეთმობოდათ გაცილებით ნაკლები ყურადღება. ლეონიდ იაკუბოვიჩი ნამდვილად „შრომობდა“. მასზე იყო დამოკიდებული მთელი ატმოსფერო სტუდიაში, იგი მთელი ძალით ცდილობდა აემოძრავებინა ტელეკამერების წინ პირველად აღმოჩენილი ხალხი.

და ამიტომაც მაყურებელთაგან არავის არ მოუხდენია რეაგირება წამყვანის ხუმრობაზე, რომელიც ჩემი წამებული მეზობლის მისამართით იყო ნათქვამი: „რა იყო, რას ცმუკავ გამუდმებით? რა პრობლემა გაქვს მანდ ასეთი?“ გადაღებები გრძელდებოდა თითქმის სამ საათს. ძალიან გვსურდა მისი მალე დამთავრება — გვტკიოდა ზურგი, ფეხები, დავიღალეთ და საშინლად გვწყუროდა. თანაც მოსაწყენი აღმოჩნდა „მასოვკის“ როლში ყოფნა. ეს ყველაფერი, ცხადია, არაფრით არ ეხება ბარაბანთან მდგომ მოთამაშეებს. მათ, როგორც იტყვიან, თავიანთი მიზნები აქვთ... მერე კი იყო ლეონიდ იაკუბოვიჩის ძალზე მოწყენილი თვალები და მისი „გადაღებების გარეშე“ გასაოცრად მელანქოლიური შეხედულება.

— დაიღალეთ? — თანაგრძნობით ვკითხე.

— ცხადია, არა! — მაჩუქა თავისი მომაჯადოებელი ღიმილი ლეონიდმა.

მოამზადა
ირმა ჯანაშიამ

# პროვინციალური მოტივები ანუ რა ვართ ეს ქართველები?!

მართალი გითხრათ, მომწყინდა მთელი ზაფხული მთაში გდება და საქონლის მწყემსვაი; გადავწყვიტე ქალაქში ჩასვლა. ვიფიქრე, თვალ-წყალ დავალევინებ, გავილ-გამოვივლი მეთქი.

ავტოსადგურის მოსაცდელში ვდგევარ და ყინჩლავს... ამ წვიმამ ხო გააჭირა საქმე — „ზონტიკი" მე არ მაქ და „პლაში" — როდემდე ველოდო გამოდარებასა. ამ წვიმის გადამკიდე სხვებიც ჩემს გვერდით დგანან და იცდიან. იცდიან, მარა ყბას არ აჩერებენ. ოჰ, როგორ მეზარება მოლაყბე კაცი, მერე თუ თავის „მოტორზე" ვერ არის...

— ფული რად გინდა, შენ გლახა, შენა, იცი მოხმარება? — შიშველი მოსულხარ ამქვეყნად და შიშველი წახვალ იმ ქვეყანაშიც — ეუბნება ერთი მეორესა. მეორეცა, არ ბრაზდება და სიმღერით პასუხობს: ლალები, ლალები, ლარები, შენ დაგიდგეს თვალები...

— ლარი, ლარი გაგიწყდა კაპილარი — თვალებს ქაჩავს პირველი. დეიჭირე ბარი — იმუშავე, მეიწიე მოსავალი, წეილე ბაზარში, გაყიდე, მეიგე ლარი — მუშტს უქნევს მეორე...

აუჰ... ჩხუბზეც გადავიდნენ, ნაღდად ზესტაფონლები არიან, შუაში ჩავუხტი და შევეხვეწე — ბიჭო, რა ლარებზე ჩხუბობთ, მაგაზე როგორ აწყენინებთ ერთმანეთსა. ლარები აგერ ბორჯომ ზევითაა პაწია სოფელი, ადით და გაიყავით სახნავ-სათესი - მეთქი.

ჰმ... — შემომიბღვირა მსუქანმა; ლარები აგერა მაქვს ჯიბეშიო, მითხრა და ცხვირწინ ამითრიალა ცისფერი ქალალდი...

უყურე შენ, — გავიფიქრე — რა ყოფილა ლარი. აბა კუპონისათვის კი არ დაყლეტდნენ ერთმანეთს ეს ჩემი ცოდვით სავსეები.

ეროვნული ვალუტაა ლარი, — ჭიან კბილებში გამოსცრა მეორემ.

წვიმამ გადაიღო, გამეხარდა და მეც ავმღერდი: ლარი, ლარი მშვენიერი დარი.

გადავწყვიტე ბაზარში შევივლი, ვნახამ, რა იყიდება, რა არ იყიდება, რა გაძვირ-გაიეფდა. ბაზარში იმდენა ხალხი ირეოდა — ბებიაჩემის წლისთავზე მეგონა თავი.

მოდი ვიფულაოთ, — ამეკვიატა ვილაც. იქით ორი ტიპი მომვარდა ყვირილით: დოლარს ვიყიდით, რუსულ მანეთს ვიყიდითო. იყიდეთ ძმაო, მერე მე რას გიშლით რო? არც ერთი მაქ და არც მეორეე... მომშორდნენ. ვათვალიერებ ბაზარსა... სულო და გულო — თავი სიზმარში მგონია, მომადგა ნერწყვი, მარა, ძლივ ვყლაპამ...

უცებ მოხუცმა ქალმა გამკრა გვერდი და ავად შემომხედა. — რა იყო დედი, ტერორისტი მე არა ვარ, მაგ საქმეში სუფთა კაცი — მთელი დათიკო ვარ, ჩემი სიმდიდრე ტყაპუჭი და კომბალიამეთქი... პური ხომ არ გინდაო — ჩამჩურჩულა. პური როგორ არ მინდა, დილიდან მთლად უზმო წამოვედი-მეთქი. თითებით რო მაჩვენა, ამდენი ლარიო — დამეპრანჭა სახე.

დავდივარ დახლებშუა და ვფიქრობ ჩემთვინა: დოლარიო, ნეტა ჩემი ნიშას მოდღვებილი დო დამალევინა და არას ვჩივი სხვასა.

ამასწინათა კუპონი ვახურდავე რუსულზე, ახლა კიდევა „ნააბაროტ" უნდა მოვიქცე...

ხან კუპონს ვიხდით, ხან რუსულ მანეთს, ხან დოლარებს და ხან ჯუჯალარებს.

ლარის განსამტკიცებლადა ყველამ ფუტკარივით უნდა იშრომოსო და ჭიანჭველას ოდენა ტვირთი ზიდოსო... რა გაამტკიცებს, ლარსა, თუ ქარხნები არ ამუშავდა... ქარხნები კი ადრე ბოლს მაინც უშვებდნენ, პროდუქციას თუ არა, დღეს კი ბოლსაც აღარ უშვებენ...

ფიქრს მაწყვეტინებენ — ბიჭოს, ამას ვის ვხედავ, ჩვენი ვანიკოს თავქარიანი ბიჭი. გადავეხვიე — გადამეხვია, მოვიკითხე — მომიკითხა, მერე ჰალსტუხს ისწორებს და მეუბნება — დათიკო ძია, რალაც მინდა გთხოვო ხმა უნდა მომცეო; რაო გავკვირდი, ხმააა?

— დიახ. ხმა, შენი ხმა, — მიპასუხა საცოდავად. ჰმ... ბიჭო, შენ რო ხმა მოგცე, დათიკოს რალაი? — გავბრაზდი...

— რა იყო, სხვებმა დოლარებში გამიცვალეს და... თანაც ხალხი დოლარის გულისთვის ორგანიზმიდან თირკმელებსა და ფილტვებს იგლეჯს და ყიდის — შენ კი უმტკივნეულოდ ხმის მიცემა გიჭირს...

— უყურე ერთი შენ, დოლარებით აღებული ხმებით აპირებთ ქვეყნის მართვას — შევუბღვირე გამწარებულმა...

მოიღუშა... მერე ვიფიქრე, მოვუტკბი, მოვუშაქრდი, ჩვენიანია, ნაცნობია და ვუთხარი: ე, ბიჭო, წაიღე, რომელი სოტკილავა და ანჯაფარიძე მე მნახე, წაიღე და მშვიდობაში მოიხმარე - მეთქი — დავთანხმდი.

ბაზარს ადრე ცეცხლი ეკიდა — ახლა ხანძარი მძვინვარებს... რა გაიგონა ჩემმა ყურებმა — კომერციაო, ინფლაციაო, ბიზნესიო, აქეთ მსხვილები — მაფია, იქით ხალხი „ფიას" გარეშე დარჩენილები.

ი.ი...ი.... რა დაინახა ჩემმა თვალებმა... გოგოებ კაბები დაუმოკლებიათ, შეტყობიათ უფულობაი, ქსოვილების უკმარისობაი... რაიო?! ჩემ მართამ რო ასე გააკეთოს, ..ხო გავუმართე ჩხუბი. თუ ვინმეს მონახულება გინდა, ბაზარში უნდა დაელოდო მეც ნაცნობ-უცნობები აქ მოვინახულე და გადავწყვიტე სოფელში აბრუნება.

ავტობუსის მძღოლმა გაგვაფრთხილა: ვისაც თეთრი არა აქვს, არ ამოვიდესო. ეს ჭკუაზე როგორაა — გადავწყვიტე ერთი კარგად მიმეზილა, მარა, გამაჩერეს და მუჭში მოჩხრიალე ხურდა ლარები მიჩვენეს... ავტობუსი დაიძრა... არც აქ აჩერებს ხალხი ენასა, ლაყბობ-ლაზღანდარობენ მთავრობასა თუ პირად საქმეებზე. მერე ცოტა კვიმატი ხალხია ჩვენი მეზობელი სოფლის ხალხი, თავისებურად სჭრიან და კერავენ. ვუსმენ:

— გახსოვს ვარდენ, რა წლები იყო უძრაობის წლები, ავტობუსის ბილეთ რო ავიღებდით და ჩემ ნუმერზე დავბრძანდებოდი, აფსუს... ქვეყანაი ჩემი მეგონა...

— მაინც მთელი სოფლების თვალი ხაარ ვლადიმერა, ლექსი შენ გიჭრ[illegible] და მოსწრებული სიტყვა-პასუხი როგორ იყო ცოლის სათხოვნელად [illegible] წახვედი, ქალს რა უთხარ: ქალო [illegible] თესვა, ბარვა-თოხნა თუ იციო... იმან რო გითხრა: შენ ცოლი კი არა ბულდოზერ-კომბაინი გდომებიაო და ცარიელ-ტარიელი რო წამოხვედი, როგორ იყოო?.. ხითხითებდა ხალხი.

— კვიმატობაში რომ მჯობიხარ ვარდენ, ეგ ყველამ იცის, შენ არ იყავი, ტახტიდან ორი დღის მიცვალებული რო წამოაყენე, 100 წლის მამიდაშენი, ხელში რო გაზეთი „კომუნისტი" დააჭერინე და ღამით მიცვალებულის საყარაულოდ მისულ ბიჭებსა გულები რო დაუხეთქე... ასი წლისასა მა რა ყარაულობა უნდოდა, კაცო, გაიქცეოდა?!

ყველაზე საარაკო ის იყო, ჩვენი სოფლის ავტობუსი ადმინისტრაციული შენობის წინ რო გავაჩერეთ, მერე რაიკომის მდივანს ვთხოვეთ, ჩამოდი გვნახეო; ჩამოვიდა და რო გვნახა სამი სოფლის ხალხი ერთ პატარა ავტობუსში სილოტკა თევზებივით ჩაპრესილ-ჩალაგებული, ახუტებულ-ჩახუტებულები — შევეცოდეთ და დამატებითი რეისი დაგვინიშნა. აფსუს, დღეს რო იყოს, მეტროს გავაყვანინებდით დვირ-ტაძრისი-საკირის მიმართულებით.

რალა ამათი კამათი და რალა ოპოზიცია — პოზიციისა...

ოღონდ პარლამენტი დაწყნარდეს და ჩვენს კინკლაობას ბოლო მოეღებაო.

ისევ ყინჩლავს... გზა ლარივით გაჭიმულა.

შუა გზაზე ორი ტურისტი გვაჩერებს... ამოდიან, უცხო ენაზე საუბრობენ, მძღოლს ძლივს აგებინებენ რალაცას, ავტობუსი ჩერდება, ერთი ჯიბეს იჩხრეკს, უკნიდან ვილაც ჩახლეჩილი ხმით უყვირის მძღოლს, არ გამოართვა, ბიჭო უცხოელები არიან... მძღოლი მაინც იღებს თეთრა ლარებს... ავტობუსი სვლას განაგრძობს. ოხ, რა ვართ ეს ქართველები?! ოხრავს ჩახლეჩილხმიანი. აფსუს, ჩემსას იყვნონ სტუმრადა; ვაი, შენს დათიკოსა, ვფიქრობ — ვბრაზობ მე...

ისევ ყინჩლავს, მტკვარდალმა ყვითელი ფერი შეპარვია ტყესა... შემოდგომაც მოვიდააა... წვერზე ვისვამ დაფიქრებით ხელსა... ყინჩლავს...

**ირინა კუპუხიძე,**

**ბორჯომის რ-ნი, სოფელი დვირი**

---

წუთისოფელი სხვადასხვა

# გაზიანი წყლების გამყიდველი

## ლეილა ყიფშიძე იგონებს:

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს მე დახლთან ვიდექი გაზიანი წყლების პავილიონში და ვისმენდი:

— ერთი ჭიქა ნაღების წყალი თუ შეიძლება!

— სამი ჭიქა შინდი!

— ორი ლიმონი!

ორი შერეული ლიმონი და ნაღები!

დაუსრულებლივ ვუვსებდი დასიცხულ გამვლელ-გამომვლელს გაზიან წყლებს ელბაქიძის დაღმართზე, სანაპიროს კუთხის ბაღთან. არ იფიქროთ, პროფესია შევიცვალე. არა, ტელეფილმს ვიღებდით, სადაც მე წყლის გამყიდველი ქალის როლს ვთამაშობდი, ისეთ გამყიდველს, მამაკაცებს თვალებს რომ უჟუჟუნებს და თან სიროფსა და ხურდას აკლებს.

რეჟისორს და მხატვარს სწორედ ეს ადგილი მოეწონათ, სადაც ნამდვილი პავილიონი იდგა და გამყიდველ ვაჟს სთხოვეს ნება მოეცა, ცოტა ხნით გვესარგებლა მისი პავილიონით.

გადაღების ამბავი კი მოგეხსენებათ: დუბლი... დუბლი... დუბლი... აღარ თავდება. მოსწყინდა გამყიდველ ბიჭს ჩვენი ყურება და მანაც გვთხოვა, წყალს მაინც ვერ ვყიდი, საქმეზე წავალ, ერთ საათში დავბრუნდები და აქაურობა არ მიმიტოვოთო. პატიოსანი სიტყვა მივეცით და გავუშვით.

გადაღება კარგა ხნის დამთავრებული იყო, მაგრამ ის ბიჭი მაინც არ ჩანდა.

აპარატურა წაიღეს, ყველანი წავიდნენ. დავრჩი მე თეთრი ხალათით დახლთან მდგარი და გივი ჭიჭინაძე ჩემი ხათრით, რომელიც იმ კაცის როლს თამაშობდა, მე რომ ვაკლებდი ხურდას.

დაღმართზე ხალხი ადი-ჩადის, ზოგს სწყურია კიდეც, ჩემთან მოდიან და ხურდა ფულს მიწვდიან. მე ჯერ ხუმრობით დავიწყე წყლის მიწოდება, ჭიქებს კარგად ვრეცხავდი და ამჯერად არავის ვაკლებდი სიროფს და ხურდას. ხუმრობა-ხუმრობაში კარგად ვივაჭრე, მთელი თასი გავუვსე გამყიდველს ფულით. მართალი გითხრათ, მომეწონა კიდეც ეს „მოღვაწეობა", მაგრამ სანამ ის ყმაწვილი არ მოვიდა, „თანამდებობას" ვერ ვტოვებდი.

...ამ ამბიდან კარგა ხანი გავიდა, როცა საზღვარგარეთ დავაპირე წასვლა ტურისტად. მივიტანე ჩემი ანკეტა სადაც ჯერ არს. აიღო ანკეტა სავარძელში მოკალათებულმა კაცმა, ჩაიკითხა, შემდეგ სათვალეების ზემოდან გაკვირვებით ჩამაშტერდა, ისევ ჩახედა ანკეტას და ხმამაღლა ამოიკითხა: „რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი". „რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი".

— ყალბი ცნობების ჩვენებისათვის იცით რა მოგელით? ბეზაბრაზია! — ჩაურუსულა.

— კი ბატონო, დამსახურებული არტისტი ვარ, — გაკვირვებას ვერ ვმალავ.

— მალჩატ! ვის ატყუებთ თქვენ! — შემდეგ თანამშრომელ გოგონას გასძახა:

— ყურადღებით შეამოწმეთ ყველა! ჩტო ზა ნაროდ? „დამსახურებული არტისტი", — ისე აგდებულად წარმოთქვა ეს ჩემი თავმოსაწონი წოდება, თითქოს საიდანღაც დაბალი კომბოსტოს სუნი ეცა.

— რაშია ბატონო საქმე, რა დამწამეთ ასეთი? ნამდვილად მსახიობი ვარ და ჩემს კოლეგებთან ერთად რუმინეთში მივემგზავრები ტურისტად.

— რუმინეთში კი არა, ციხეში გაგიშვებ აფერისტობისათვის! შენ წყლის გამყიდველად მუშაობ ელბაქიძის დაღმართზე, მე თვითონ ბევრჯერ დამილევია შენთან წყალი, დამსახურებულო არტისტო!

ახლა კი გამახსენდა ჩვენი ტელეფილმი და ის ორი საათი, წყალს რომ ვყიდდი ქუჩაში. მე თავი ვიმართლე, ყველაფერი გაირკვა და ანკეტაც მიიღო, მაგრამ სულ იმაზე ვფიქრობ, ნეტა რამდენჯერ დალია ჩემთან წყალი, როცა მხოლოდ ერთ დღეს ვიდექი იქ და ისიც სულ ორი საათის განმავლობაში?!

---

# ბამბუკი — სამამულო ქაღალდის წარმოების წყარო

**მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა ქაღალდის მწვავე დეფიციტს განიცდის. მას არა აქვს სახსრები, უცხოურ ვალუტაზე სისტემატურად, დიდი რაოდენობით შეიძინოს იგი. სამამულო ქაღალდის წარმოების დანერგვა ალბათ ერთ-ერთი საშური საქმეა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ვფიქრობთ, საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რაფიელ დვალის სახელობის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სრულიად საქართველოს მებამბუკეობის ასოციაცია — „ბამბუკის" პრეზიდენტი ბატონი თამაზ ჭარაქაშვილი. ჩვენ რამოდენიმე კითხვით მივმართეთ მას.**

**— ბ-ნო თამაზ, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები საქართველოში ქაღალდის წარმოებასთან დაკავშირებით...**

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მცირემიწიანი, მთაგორიანი ქვეყანაა, ჩვენ განუსაზღვრელი საშუალება გვაქვს, მოვიყვანოთ ის კულტურა, რომელიც გადამუშავების შემდეგ მოგვცემს ქაღალდის პროდუქციას. ასეთი კულტურა გახლავთ ბამბუკი. სხვათა შორის, ბამბუკს წელს 100 წელი შეუსრულდა, რაც საქართველოში შემოვიტანეთ, მაგრამ ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ და გავანადგურეთ. მაგრამ დღეს თუ დავინტერესდით, ათეულათასობით ჰექტარზე შეიძლება გავაშენოთ ბამბუკის პლანტაცია იმისათვის, რომ ადგილობრივი ნედლეული შევქმნათ.

**—რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ამ გეგმის განხორციელება?**

—რაკი თავს ვაძლევთ უფლებას, ასე დაბეჯითებით განვაცხადოთ ამ კულტურის სარგებლიანობაზე სამამულო ქაღალდის წარმოებასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ ჩვენ 23 წელი ვმუშაობდით ბოტანიკურ ბაღში ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს ნაშრომები, რომელიც პლანტაციების გაშენების №1 ამოცანებს გადაწყვეტს. აქვე საგანგებოდ მინდა გავუსვა ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ბამბუკს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში იმ გარემოებამ, რომ იგი ოდითგანვე ცნობილია, როგორც უალრესად ძვირფასი, უნიკალური ნედლე-

დასასრული მე-7 გვ

# კალენდრის რეფორმა ეკლესიაში ყოვლად გაუმართლებელია

ბოლო ხანს ხშირად ლაპარაკობენ ეკლესიაში ახალი სტილის შემოღების აუცილებლობაზე. ეს იმას ჰგავს, ქირურგი რომ სრულიად ჯანმრთელ ადამიანს არწმუნებდეს — უსათუოდ გესაჭიროება ოპერაცია ორგანოთა გადანერგვითო; მის ამ საქციელს ჩვენ არაადამიანურ და სასტიკ ექსპერიმენტად ჩავთვლიდით. ახლაც ჩვენ გვთავაზობენ ეკლესიის მთელ ლიტურგიკულ ტრადიციასა და საეკლესიო წესდებას ჩავუტაროთ ასეთი ოპერაცია, მოვახდინოთ ტრანსპლანტაცია (გადანერგვა) საეკლესიო კალენდრისა — საეკლესიო წესდების ამ ხერხემლისა და საფუძვლისა, ანუ სრულიად სხვა რიტმსა და სუნთქვაზე გადავიყვანოთ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ღვთისმსახურება, და ამით, როგორც ჩვენ ვგონებთ, უაზრო და სასტიკი ძალადობით მოვწყლათ ეკლესიის მარად ცოცხალი ღმერთკაცობრივი სხეული.

რისთვის არის საჭირო კალენდრის რეფორმა? — საკითხი კალენდრის შეცვლის შესახებ შეიძლება შემდეგი მიზეზებით წამოიჭრას: 1) ლიტურგიკული აუცილებლობით, როცა წარმოჩინდება სხვაობა, ერთის მხრივ, ღვთისმსახურებათა რიტმს, პერიოდებსა და ციკლებს და, მეორეს მხრივ, კალენდარს შორის, ანუ თუკი საკალენდრო სისტემა შეუსაბამო იქნება ეკლესიის წესდების შინაარსისა და 2) მეცნიერული არასრულყოფილებით კალენდრისა, როგორც დროის აღრიცხვის სისტემისა, რადგან ასეთი არასრულყოფილება უთუოდ წარმოშობს დისონანსებს ეკლესიის ლიტურგიკულ ცხოვრებაში.

იულიუსის, ანუ იულიანური კალენდარი (ძველი სტილი) მკაცრი და ზუსტი რიტმითა და ციკლურობით წარმოადგენს დროის აღრიცხვის ყველაზე სრულყოფილ სისტემას, ამ მიმართებით იგი შეუდარებლად აღემატება გრიგორიანულ კალენდარს (ახალი სტილი), სადაც რიტმები და ციკლები დეფორმირებული და დარღვეულია, ხოლო აღრიცხვის ცხრილები უსაშველოდ დიდი და მოუხერხებელია. ისტორიულად იულიანური კალენდარი შეერწყა, შეესისხლხორცა საეკლესიო ტიპიკონს, მის წეს-ჩვეულებებს და თვით შეიქმნა საეკლესიო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. დღესასწაულთა თუ მარხვათა მონაცვლეობამ, ღვთისმსახურებათა წლიურმა ციკლმა, მცირე სააღდგომო მოქცევამ თუ დიდმა ინდიქტიონმა, საერთოდ, ბიბლიური მოვლენების აზრობრივ-შინაარსობრივმა თუ ქრონოლოგიურმა თანმიმდევრობამ დასრულებული სახე და უზადო შინაგანი ჰარმონია შეიძინეს იულიანურ კალენდარში. ამიტომაც შეგვიძლია მას „გაეკლესიურებული დროის სიმფონიაც" ვუწოდოთ. ასე რომ, კალენდრის შეცვლისა და ახალი სტილის შემოღების არანაირი შინაგანი ეკლესიური აუცილებლობა არ არსებობს.

ახლა ორიოდე სიტყვა მეორე საკითხზეც ვთქვათ, — ამ ორი საკალენდრო სისტემის მეცნიერულ ღირსებებსა და უპირატესობებზე.

ასტრონომიას წელიწადის რამდენიმეგვარ გაზომვასთან აქვს საქმე, და აღრიცხვის ყველა ეს სახეობანი საფუძვლად უდევს უწინ არსებულ და დღეს მოქმედ კალენდრულ სისტემებს. კერძოდ, ასტრონომიაში ცნობილია ვარსკვლავური, მზისა და მთვარის წელიწადები. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელი მათგანია უფრო ზუსტი და სწორი, რადგან ამ წელიწადთაგან თითოეული თავის პარადიგმაში (ცხრილში) განიხილება. იულიანურ წელიწადს ოთხი ორიენტირი აქვს: მზე, ვარსკვლავები, დედამიწა და მთვარე. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული ვარსკვლავური და მზის წელიწადები. და ამასთან სიმეტრიულია მთვარის კალენდართანაც. ხოლო გრიგორიანული კალენდრის პარადიგმაში მხოლოდ ორი ორიენტირია დატოვებული — დედამიწა და მზე. ეს კალენდრები — იულიანური და გრიგორიანული — სრულიად განსხვავებულ პრინციპებზეა დაფუძნებული და მათი შედარება ერთმანეთთან თითოეულის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად ისევე შეუძლებელია, როგორც გრიგორიანულისა მთვარის წელიწადთან. მივმართოთ ასეთ თვალსაჩინო მაგალითს: განსხვავება ვარსკვლავურ (სიდერულ) წელიწადსა და მზის (ტროპიკულ) წელიწადს შორის შეადგენს 21 წუთს. მაშასადამე, თუკი მზის წელიწადს ვარსკვლავური წელიწადის პარადიგმაში განვიხილავთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იგი წინ გარბის 21 წუთით, ხოლო თუკი ვარსკვლავურ წელიწადს განვიხილავთ მზის წელიწადის პარადიგმაში, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ იგი 21 წუთით ჩამორჩება.

იულიანური კალენდრის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა: ჰარმონიულად შეეერთებინა ერთურთთან ვარსკვლავური და მზის წელიწადები. ამ ამოცანას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. გრიგორიანულ კალენდარს კი, იულიანურთან შედარებით, ბევრად უფრო ადვილი და მარტივი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი — რიცხობრივი მონაცემებით ტროპიკულ (მზის) წელიწადს მიახლოვებოდა, ამასთან იგი უგულვებელჰყოფდა დროის აღრიცხვის სხვა კოსმიურ ორიენტირებს. კალენდრის ღირსებად, — არა მხოლოდ ეკლესიური, არამედ სამეცნიერო თვალსაზრისითაც, — უნდა ვაღიაროთ მისი რიტმულობა და ციკლურობა. ამ მხრივ, იულიანურ კალენდარში უნდა აღინიშნოს ჩვეულებრივ და ნაკიან წელიწადთა მკაცრი მონაცვლეობა და მათი თანაბარი ოდენობა საუკუნეში; მეტონის ციკლი (6940 დღე-ღამე), როცა ყოველი 19 წლის შემდეგ მთვარის ფაზები ემთხვევა ხოლმე თვის რიცხვებს; 28-წლიანი პერიოდი, რომელშიც მეორდება კვირის დღეები და თვის რიცხვები; დიდი სააღდგომო მოქცევა, ანუ დიდი ინდიქტიონი, რომელიც 532 წელს შეიცავს. გარდა ამისა იულიანურ კალენდარში არსებობს ნაკლებ მნიშვნელოვანი ციკლებიც, მაგალითად, მცირე სააღდგომო მოქცევა. გრიგორიანულ კალენდარში ეს ციკლები მოსპობილია, ვარსკვლავური წელიწადი სრულიად უგულვებელყოფილია და მთვარის წელიწადთან მიმართებაშიც იგი სიმეტრიული კი არა, პარალელურია; ამით თვით დროის აღრიცხვაც უფრო შეზღუდული გახდა, ცალმხრივი და გამარტივებული შეიქმნა.

გრიგორიანულ კალენდარს ქაოსი შეაქვს ეკლესიის ლიტურგიკულ ცხოვრებაში. ამიტომ კალენდრის რეფორმა ჩვენ ყოვლად გაუმართლებელ ქმედებად გვესახება, რომელსაც არა აქვს არც მეცნიერული, არც საეკლესიო და არც ზნეობრივი საფუძველი. საეკლესიო წეს-ჩვეულებებისა და ეთნიკური ტრადიციების შენარჩუნებაზე ან დარღვევაზე დამოკიდებული ჩვენი მართლმადიდებლობის მომავალი, ის, თუ რანი ვიქნებით ხვალ.

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

# საგადასახადო პოლიტიკა გამკაცრდება

ორი კვირის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მისიები საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. პრეს-კონფერენცია, რომელიც საქართველოს მინისტრთა კაბინეტში გაიმართა, ამ მოლაპარაკების შედეგების განხილვას მიეძღვნა.

პრეს-კონფერენციას ესწრებოდნენ: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში შადმან ვალავი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, ბატონი თემურ ბასილია და სხვები.

როგორც ბატონმა შადმან ვალავმა განაცხადა, მიღებული იქნა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსათვის საშუალო ვადიანი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, გამოიყო ხელმისაწვდომი და გრძელვადიანი სესხი, რომელსაც დაამტკიცებს საერთაშორისო სავალუტო მისიის აღმასრულებელი საბჭო ვაშინგტონში. სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით ნაყოფიერი შედეგები იქნა მიღებული.

ჩვენ მოგვიწევს სერიოზულ ჯგუფებთან დაჯახება, განაცხადა თემურ ბასილიამ, ეს ეხება საგადასახადო პოლიტიკას, საბაჟოს, ენერგეტიკას, პურ-პროდუქტებს. რადგან 1996 წლიდან უცხოური დახმარება შემცირდება, აუცილებელია ბიუჯეტის შესავსებად საგადასახადო შემოსავლის ზრდა. საჭიროა საგადასახადო პოლიტიკა გამკაცრდეს.

გადასახადებისაგან განთავისუფლება ეს არის პირდაპირი დარტყმა მეწარმეზე. ახალი კანონმდებლობით გადასახადებისაგან თავისუფალი არავინ არ იქნება. ორგანიზაცია, რომელსაც შემოაქვს პროდუქტი და არ იხდის გადასახადს, გაცილებით იაფად ჰყიდის პროდუქტს, ვიდრე ქართველი მეწარმე, რადგან ქართველი მეწარმე იხდის გადასახადს [illegible] რთველოში წარმოებული პროდუქცია უფრო ძვირია. საგადასახადო შემოსავლების ზრდა აუცილებლად უნდა მოხდეს, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი რეგრესულ საგადასახადო სისტემას არ იზიარებს.

პრეს-კონფერენციაზე ითქვა, რომ მომავალი წლის აპრილში საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა გაიხსნება. ასე რომ, მსოფლიო ბანკს საქართველოში თავისი მუდმივი წარმომადგენელი ეყოლება.

ჟურნალისტის შეკითხვას, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გავლენას მოახდენს თუ არა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე; ბატონმა შადმან ვალავმა ასეთი [illegible] გასცა:

ჩვენი [illegible] ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, რისი გაკეთება უნდა საქართველოს ხელისუფლებას. ჩვენ საქართველოს პოლიტიკაში არ ვერევით. რუსეთში არჩევნების რეზულტატს საქართველოს ფინანსურ სფეროსთან არავითარი კავშირი არ ექნება. ჩვენი ინსტიტუტი წმინდა მონიტორული ხასიათისაა, რომელიც არ სცილდება ქვეყნის ფინანსებს. პოლიტიკის საკითხი არ შედის მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სფეროში. სავალუტო ფონდი გააგრძელებს საქართველოსთან ურთიერთობას, თუ დღევანდელი ხელისუფლება გააგრძელებს დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

შეკითხვაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ერევა თუ არა საკადრო პოლიტიკაში, ბატონმა ვალავმა უპასუხა: სავალუტო ფონდი საკადრო საკითხებში არ ერევა. ჩვენი რჩევაა შემცირდეს საბიუჯეტო ორგანიზაციები.

ნინო ზამთარაძე

# ბამბუკი — სამამულო ქაღალდის წარმოების წყარო

მეექვსე გვერდიდან

ული მაღალხარისხოვანი ქაღალდის დასამზადებლად. მაგ. ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, ამერიკასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში მისგან დღეს დაახლოებით ასამდე ასორტიმენტის ქაღალდს აწარმოებენ, დაწყებული უხეში მუყაოდან, დამთავრებული ძალზე თხელი, სიფრიფანა ქაღალდით, რომელიც თავისი თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება საქვეყნოდ ცნობილ პაპირუსის ქაღალდს.

მეცნიერულად დასაბუთებულია ისიც, რომ მთელ რიგ სხვა მერქნიან მცენარეებთან შედარებით (განსაკუთრებით ადგილობრივი ტყის ჯიშებთან შედარებით), ბამბუკი ქაღალდის წარმოებისათვის ყველაზე საუკეთესო ნედლეულს ცელულოზის სახით იძლევა დროის ძალზე მოკლე პერიოდში, კერძოდ, 3-დან 18-თვემდე და თანაც შვიდჯერ მეტი რაოდენობისას, ვიდრე, მაგალითად, ფიჭვი, მუხა, წიფელა, ნაძვი, თხმელა, ევკალიპტი... უფრო მეტიც, მაგალითად, თუ ჩვენ გარკვეულ ფართობზე გაშენებული ფიჭვის ტყის საბალანსო მერქნის ოდენობას შევადარებთ იგივე მოცულობის ფართობზე არსებულ ბამბუკის პლანტაციების მერქნის საბალანსო ოდენობასთან, ჭრის ციკლის მიხედვით დავინახავთ, რომ ყოველ ერთეულ ჰექტარზე ბამბუკის კორომი დაახლოებით 700-ჯერ მეტ ცელულოზის მასას გვაძლევს, ვიდრე ის ფიჭვის ტყე, რომლის ჭრის ციკლის ხანგრძლივობაც ხშირ შემთხვევაში დაახლოებით 100—120 წელია.

თუკი ჩვენი მთავრობა დაინტერესდება და გამონახავს სახსრებს, ჩვენ ვიძლევით გარანტიას, რომ 4-5 წელიწადში შევძლებთ საკუთარი ქაღალდი ვაწარმოოთ და ამის შემდეგ ყოველწლიურად იმაზე მეტი, ვიდრე ეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ბამბუკი ნებისმიერი სიხშირის ტყის მასივში შეგვიძლია დავრგათ. მას ბუნებრივი პირობები აქვს ჩვენთან. პეიზაჟსაც დაამშვენებს, ეკოლოგიურ პრობლემებსაც გადაჭრის და არც საშური ადგილების დათმობა არ მოგვიხდება მისთვის, ის თვითონ მოძებნის თავის ადგილს. მას უყვარს უქარო, ღრმა, ნოყიერი ნიადაგი. ეს ყველაფერი გვაქვს ბუნებრივად და არანაირ ხარჯს არ მოითხოვს.

**—კონკრეტულად რა ღონისძიებების გატარება მიგაჩნიათ საჭიროდ ხელისუფლების მხრიდან...**

-უპირველესად საშური საქმეა, ბამბუკი გამოცხადდეს რიგით მესამე სტრატეგიულ კულტურად. მხედველობაში მაქვს ჩაი, ვაზი და შემდეგ ბამბუკი. მართალია, პირველი ორი კვებითი პროდუქტებია, მაგრამ სახელმწიფოს ბიუჯეტში რომ ჩაიდის ის დივიდენდები, რაც მის მოშენებას მოჰყვება, მეტს თუ არა, ნაკლებს არ მოგვცემს. მეორე, უნდა მივუჩინოთ თავისი ადგილი ძირითადად ტყეში, სადაც დაუყვედრებელი ფართობები დახვდება. საჭიროა შევქმნათ 500—600 ჰექტრიანი მეურნეობები და პატრონი მივუჩინოთ. ეს საკითხი პირველ რიგში პარლამენტმა უნდა იქონიოს ყურად. მე ათეული წლების განმავლობაში ბიუროკრატებთან და პედანტ მეცნიერებთან ბრძოლით რომ ვერაფერს გავხდი, რათა ბამბუკთან დაკავშირებით ჩემი სამეცნიერო-კვლევითი შედეგები წარმოებაში დამენერგა, იძულებული გავხდი, რომ ჩამომეყალიბებინა სრულიად საქართველოს მებამბუკეობის ასოციაცია „ბამბუკი", რომლის მთავარი მიზანია მებამბუკეობის აღორძინება საქართველოში და მისი შემდგომი განვითარება, როგორც სამრეწველო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, ასევე მწვავე კატასტროფული ეკოლოგიური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. დღესდღეობით პარლამენტმა უნდა დაავალოს სათანადო სამთავრობო ორგანოებს, გამოსცეს შესაბამისი სამთავრობო კანონები, რათა დავიწყოთ მისი მოშენება.

მე იმედი მაქვს ჩვენი ახალი ხელისუფლების, რომ გულისხმიერად მოეკიდებიან ამ საკითხს და ამით უდიდეს პრობლემებს გადაუჭრიან ჩვენს ქვეყანას.

ესაუბრა ლელა კოდალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემოკრატიული არჩევნები საქართველოში




## ისტორიისთვის დასაფიქსირებლად

Არჩევნების პროცედურაზე საუბარს რეალურ ვითარებაზე ზეგავლენის მიზნით ახლა არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ივანე კილურაძეს მაინც მივმართეთ ორიოდე კითხვით. მან პატიოსნად გასცა ამ კითხვებს პასუხები, რითაც ვფიქრობთ დასტურდება ის, რაც ვარაუდების სახით იყო გამოთქმული ცალკეულ პოლიტიკოსთა მიერ.

კერძოდ, როგორ მოხდა რომ არჩევნებში 50 000 ხმა წინასწარ მოაგროვა მონაწილეობის მისაღებად 50-ზე მეტმა პარტიამ? ხომ არ იყო პარტიათა სიმრავლე საარჩევნო სიებში წინასწარზრახვის შედეგი, რათა ამომრჩეველი ბრინჯივით დაბნეულიყო?

რატომ არ გამოქვეყნდა დროულად 5 ნოემბრის შემდეგ იმ დეპუტატთა სიები, რომელნიც პარტიული მანდატებით შევიდნენ პარლამენტში? ხომ არ იყო გაკეთებული ეს იმ მიზნით. რომ ხელი შეეწყოთ მოქალაქეთა კავშირის დეპუტატებისთვის, რომელნიც მაჟორიტარულად იყრიდნენ კენჭს და ამომრჩევლებს ატყუებდნენ. თითქოს მათ პარტიულ სიებში ადგილი სხვას დაუთმეს?

შესაძლებელია თუ არა საქართველოს პირობებში ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება? ეს ის თემაა, რომელზეც საუბარი არ უნდა შეწყდეს, ვინაიდან მთავარი იმდენად ის კი არ არის, ვინ იმარჯვებს, მთავარია როგორ იმარჯვებს, მთავარია ქვეყანამ ნამდვილად აუწყოს ფეხი დასავლეთის ცივილიზებულ სამყაროს და არა მოჩვენებითად.

დღეს კი მხოლოდ ორი კითხვა ბატონ ივანე კილურაძეს:

## ივანე კილურაძე:

## „მომავალი არჩევნებისათვის ამის დაშვება შეუძლებელია“...

**— ბატონო ივანე, არასაპარლამენტო პარტიების მიერ კანონით დადგენილი 50 000-ს და მეტ ხელმოწერას რა პრინციპით ამოწმებდით?**

— სამწუხაროდ, არ იყო იმის საშუალება, რომ შეგვემოწმებინა დეტალურად, გაგვეხავნა კომისიის წევრები ადგილებზე. ძირითადად შემოწმება ხდებოდა ვიზუალურად. ეს ისეთი საკითხია, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა მოგვარდეს. ამ მომენტმა ჩემში გარკვეული უკმარისობის გრძნობა დატოვა, მაგრამ გამოვედით რეალობიდან, არც დრო იყო და არც საშუალება სათითაოდ შემოწმებისათვის.

მეორეს მხრივ, მომავალი არჩევნებისათვის ამის დაშვება შეუძლებელია, ალბათ, დროც მეტი იქნება და საშუალებაც.

**— შეიძლებოდა თუ არა პარტიულ სიაში წარმოდგენილი მაჟორიტარი დეპუტატის სიიდან ამოღება ან მის მიერ ადგილის სხვისთვის დათმობა პარტიულ სიაში და შემდეგ გამარჯვებისათვის ბრძოლის გაგრძელება დამოუკიდებლად, როგორც მაჟორიტარს?**

— რას ამბობთ, ეს ხომ კანონის უხეში დარღვევაა...

— გმადლობთ.

ესაუბრა
ია ბუკოვსკაია

## კროსვორდი




თარაზულად

4. ქალაქი საქართველოში 5. ქიმიური ელემენტი, ლითონი 6. მე-19–20 ს-ის დიდი ფრანგი მოქანდაკე 7. თხრობითი ხასიათის ლექსი 9. რისამე მოქმედების არე 11. ლითონის ზედაპირზე რელიეფურად გამოსახული ნახატი, გამოიყენება ბეჭდვაში 13. პიროვნება, ვის მიხედვითაც შექმნილია ლიტერატურული სახე 14. კარგი მწერალი 16. მზის სისტემის პლანეტა 17. კოჭა 18. ლურჯი ფერის საღებავი 19. გრაგნილი 20. შხამიანი გველი 23. მსახიობის პირველი გამოსვლა.

შვეულად

1. რაიმე ცალკეული მოქმედება 2. უსიტყვო წარმოდგენა 3. მცენარის მერქნიდან ან მთის ქანიდან გამონადენი სითხე 6. ჟურნალისტის მიერ რაიმეს მიმოხილვა 8. ლექსი, სადაც პირველი ასოები ქმნიან სიტყვას 10. მცენარეთა სამყარო 12. 16 მარცვლიანი ლექსი 15. ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაწარმოების მოწონება, შემოწმება 21. თევზის საჭერი ხელსაწყო 22. კონტინენტი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. აკრიბია 2. ბატარეა 3. ბროშურა 5. იმპულსი 8. მელპომენე 9. ჟურნალი 10. ბენზოლი 14. ფლობერი 16. ომონიმი 17. შურდული 18. სინკოპე

თარაზულად: 3. ბარტოკი 4. კარტეჩი 6. ბამბა 7.პრიმა 11. ამური 12. ედემი 13. ანთროპოგენეზი 14. ფალცი 15. ფოლო 19. ტიტრი 20. ქნარი 21. იაშვილი 22. სპირალი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიბალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5. ტელ: მთავარი რედაქტორი: 93-20-36, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99 განყოფილებები 93-18-41.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 50 თეთრი